№3-476

03.12.2019

ქალბატონ თამარ გაბუნიას

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა აშშ-ის ლაბორატორიაში MSR Laboratories შეამოწმა თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შეძენილი 29 დასახელების ბიჟუტერიის ნიმუშები. 12 ნიმუში ჯანმრთელობისათვის საშიში აღმოჩნდა. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე momxmarebeli.ge.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ 2019 წლის 9 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვაცნობეთ საქართველოს ბაზარზე ჯანმრთელობისათვის მავნე პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ პროდუქციის გაყიდვის თაობაზე და მოვითხოვეთ საქართველოს ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას ქვეყანაში სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პასუხად მივიღეთ თქვენი 2019 წლის 10 ოქტომბრის წერილი (N. 01/17472), რომელშიც მზადყოფნას გამოთქვამთ ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კონსულტაციებში მონაწილეობისათვის. შესაბამისად, გთხოვთ გამონახოთ დრო ჩვენთან საკონსულტაციო შეხვედრისათვის.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

www.momxmarebeli.ge
www.momxmarebeli.ge
საკითხს აშუქებს